საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 150 2024 წლის 26 აპრილი ქ. თბილისი

„საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 6 მარტის №107 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 6 მარტის №107 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 2^2 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ა) **თამარ ლომინაძე** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) **გოჩა თუთბერიძე** – შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **დავით ტეფნაძე** – შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;

დ) **გიორგი ღაღანიძე** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ე) **დავით გეგეჭკორი** – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ვ) **ელიზბარ ელიზბარაშვილი** – ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;

ზ) **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

თ) **ციური დურული** – სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ი) **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;

კ) **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

ლ) **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

მ) **ვასილ კიკუტაძე** – შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

ნ) **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

ო) **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

პ) **ნინო ჭალაგანიძე** – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

ჟ) **გიორგი მირიანაშვილი** – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

რ) **ქეთევან ქუთათელაძე** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ს) **მაგდა ბოლოთაშვილი** – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი.“.

ირაკლი კობახიძე